



საკანონმდებლო მაცნე

შინაარსი

- პირის მიერ, საწარმოს წილის სანაცვლოდ აქტივების გადაცემის/ საწარმოს ლიკვიდაციისას ან კაპიტალის შემცირებისას, პარტნიორზე განხორციელებული განაცემის დაბეგვრა
- საპენსიო მონიტორინგის შედეგად დაკისრებული ჯარიმის გასაჩივრების წესი
- გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის თანხის დაბრუნების წესი
- ნებართვის ახალი სახეები სათამაშო ბიზნესის სფეროში

საჯარო გადანაცვები

პირის მიერ, საწარმოს წილის სანაცვლოდ აქტივების გადაცემის/ საწარმოს ლიკვიდაციისას ან კაპიტალის შემცირებისას, პარტნიორზე განხორციელებული განაცემის დაბეგვრა

2026 წლის 3 ივლისს გამოქვეყნდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის N208 საჯარო გადანაცვები „პირის მიერ, საწარმოს წილის სანაცვლოდ აქტივების გადაცემის და საწარმოს ლიკვიდაციისას ან კაპიტალის შემცირებისას პარტნიორზე ნატურალური ფორმით განხორციელებული განაცემის დაბეგვრის საკითხებზე“.

აღნიშნული საჯარო გადანაცვები ეხება სსკ-ის 151-ე მუხლით და 82-ე მუხლის პირველი ნაწილის „ჩ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საგადასახადო შეღავათის გამოყენების პირობებს. კერძოდ, სსკ-ის 151-ე მუხლის მიხედვით, პირის (პირთა) მიერ იურიდიული პირისათვის მასში 50 პროცენტის ან მეტი წილის (აქციების) სანაცვლოდ აქტივების გადაცემა (დავალიანებით ან მის გარეშე) არ განიხილება აქტივების მიწოდებად. ხოლო სსკ-ის 82-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან გათავისუფლებას ექვემდებარება საწარმოს ლიკვიდაციის ან კაპიტალის შემცირების გზით ამ საწარმოს პარტნიორ ფიზიკურ პირზე წილის სანაცვლოდ უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემით მიღებული ნამეტი, თუ საწარმოს წილზე ფიზიკური პირის საკუთრების უფლების წარმოშობიდან გასულია 2 წელზე მეტი.

ხაზგასასმელია, რომ სსკ-ის 151-ე მუხლის დებულებები არ გამოიყენება, თუ ოპერაციის მონაწილე რომელიმე მხარე მოგების გადასახადით იბეგრება სსკ-ის 97-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული დაბეგვრის ობიექტების მიხედვით, ანუ მოგების გადასახადის ე.წ. ესტონურ მოდელზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იურიდიულ პირს მასში 50 პროცენტის ან მეტი წილის/აქციების სანაცვლოდ აქტივებს გადასცემს ფიზიკური პირი. ამასთანავე, აღნიშნული მუხლის რეგულირების სფეროში არ ექვევა პირის მიერ უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი იურიდიული პირისთვის წილის/აქციების სანაცვლოდ აქტივების გადაცემა.

უნდა აღინიშნოს, რომ სსკ-ის 151-ე მუხლის პირველი ნაწილის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირი აქტივის გადაცემამდე ფლობდა საწარმოში 50 პროცენტს ან მეტ წილს/აქციებს ან აქტივის გადაცემის შედეგად ხდება საწარმოში 50 პროცენტის ან მეტი წილის/აქციების მფლობელი.

ამასთანავე, საჯარო გადანაცვები არეგულირებს ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც ადგილი აქვს პირთა ჯგუფის მიერ განხორციელებულ ოპერაციას, კერძოდ, რამდენიმე პირის მიერ მათ თანასაკუთრებაში არსებული აქტივის საწარმოსთვის წილის/აქციების სანაცვლოდ გადაცემისას, აღნიშნული განიხილება ერთიან ოპერაციად, თუ ოპერაციის შედეგად აქტივთან დაკავშირებული ინტერესი/კონტროლი არსებითად იგივე პირთა ჯგუფს რჩება და ისინი აქტივის სანაცვლოდ ჯამურად იღებენ საწარმოში 50 პროცენტს ან მეტ წილს/აქციებს.

რაც შეეხება აქტივის ღირებულებას, უნდა აღინიშნოს, რომ საგადასახადო მიზნისთვის სსკ-ის 151-ე მუხლის გამოყენებისას, აქტივის აღრიცხვა ხდება იმ ღირებულებით, რაც მას ჰქონდა გადამცემისთვის, მისი გადაცემის მომენტში. იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს აქტივთან დაკავშირებულ დავალიანებას, პარტნიორის შენატანის ოდენობად და მის მიერ

მიღებული წილის ღირებულებად მიიჩნევა აქტივის წმინდა ღირებულება (აქტივის ღირებულება შემცირებული გადაცემული დავალიანების ოდენობით). ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ სსკ-ის 151-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, ამ მუხლის მოთხოვნები არ ვრცელდება უფლებრივად ნაკლის მქონე აქტივების გადამცემზე, თუ დავალიანება აღემატება გადაცემული აქტივების ღირებულებას.

სსკ-ის 82-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ.გ“ ქვეპუნქტის (საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლება) გამოყენების აუცილებელი წინაპირობაა აქტივის მიწოდების არსებობა. შესაბამისად, აღნიშნული ნორმა ვერ გავრცელდება იმ შემთხვევაზე, როდესაც სსკ-ის 151-ე მუხლის საფუძველზე ოპერაცია საერთოდ არ მიიჩნევა აქტივის მიწოდებად.

აღნიშნულის გათვალისწინებით, თუ პირი, აქტივების გადაცემას საწარმოს კაპიტალში 50 პროცენტზე ნაკლები წილის სანაცვლოდ ახორციელებს, ოპერაცია არ ექვევა სსკ-ის 151-ე მუხლის პირველი ნაწილის მოქმედების არეალში და, შესაბამისად, საწარმოსთვის გადაცემული ქონების ღირებულება განისაზღვრება საბაზრო ფასით.

ამავდროულად, უნდა აღვნიშნოთ, რომ საწარმოს ლიკვიდაციის ან კაპიტალის შემცირების მიზნით ამ საწარმოს პარტნიორზე განხორციელებული განაცემის ის ნაწილი, რომელიც აღემატება პარტნიორის მიერ განხორციელებული შენატანის ღირებულებას, დივიდენდად განიხილება და ექვემდებარება როგორც მოგების, ასევე საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრას.

ამასთან, სსკ-ის 82-ე მუხლის პირველი ნაწილის „ჩ“ ქვეპუნქტის თანახმად, საშემოსავლო გადასახადისგან თავისუფლება საწარმოს ლიკვიდაციის ან კაპიტალის შემცირების შედეგად პარტნიორ ფიზიკურ პირზე წილის სანაცვლოდ უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემით მიღებული ნამეტი, თუ საწარმოს წილზე ფიზიკური პირის საკუთრების უფლების წარმოშობიდან გასულია 2 წელზე მეტი ვადა. თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მოცემული შეღავათი ვრცელდება მხოლოდ უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემაზე, ხოლო, თუ საწარმოს ლიკვიდაციის ან კაპიტალის შემცირების შედეგად პარტნიორ ფიზიკურ პირს გადაეცემა მოძრავი ქონება, სსკ-ის 82-ე მუხლის პირველი ნაწილის „ჩ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეღავათი არ გამოიყენება.

ცვლილება ძალაშია 2026 წლის 4 ივლისიდან

ცვლილება ბრძანებაში

საპენსიო მონიტორინგის შედეგად დაკისრებული ჯარიმის გასაჩივრების წესი

2026 წლის 7 ივლისს გამოქვეყნდა საქართველოს საპენსიო ფონდის გენერალური დირექტორის ბრძანება №13, რომლითაც ცვლილება შევიდა „საპენსიო შენატანის განხორციელების ვალდებულების დარღვევის და საპენსიო შენატანის ზედმეტად განხორციელების ფაქტის იდენტიფიცირების, ზედმეტად განხორციელებული საპენსიო შენატანის თანხის დაბრუნების, ჯარიმის და საურავის დაკისრების, აღსრულების და შესაბამისი კომუნიკაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს საპენსიო ფონდის გენერალური დირექტორის 2025 წლის 7 მაისის №3 ბრძანებაში. ცვლილების შედეგად, განისაზღვრა საპენსიო მონიტორინგის შედეგად დაკისრებული ჯარიმის გასაჩივრების წესი.

განხორციელებული ცვლილებით, №3 ბრძანებას დამატა ახალი 17¹ მუხლი, რომლის მიხედვით პირს მოცემული ელექტრონული საჯარიმო ქვითრის/გადაწყვეტილების გასაჩივრება შეეძლება საპენსიო ფონდისთვის მიმართვის გზით ან საჩივრის სასამართლოში წარდგენით. გასაჩივრების ეს ფორმა ეხება როგორც მონიტორინგის შედეგად გამოვლენილ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, ასევე 2025 წლის 1 მაისის შემდგომ წარმოშობილი საპენსიო შენატანის განხორციელების ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგებს.

თავის მხრივ, საპენსიო ფონდში საჩივრის წარდგენისათვის დამსაქმებელი პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით უფლებამოსილია მიმართოს საპენსიო ფონდს საპენსიო ფონდის მისამართზე გამოცხადების ან საჩივრის ფოსტის მეშვეობით გაგზავნის გზით ან უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მის ტერიტორიულ ორგანოებში (ფილიალებში) გამოცხადების გზით.

ცვლილებასთან დაკავშირებით, ასევე განახლდა დანართი №2, რომელიც ეხება ელექტრონული საჯარიმო ქვითრის ფორმას.

ცვლილება ძალაშია 2026 წლის 8 ივლისიდან

გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის თანხის დაბრუნების წესი

2026 წლის 5 თებერვალს გამოქვეყნებული საქართველოს ფინანსთა მინისტრის №237 ბრძანებით, რომელითაც განისაზღვრა საგადასახადო შეღავათით მოსარგებლე პირებისათვის გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის თანხის დაბრუნების წესი, ასევე განისაზღვრა, რომ ეს წესი ძალაში შევიდოდა 2026 წლის ივლისიდან. თუმცა, 2026 წლის 28 ივლისს გამოქვეყნდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №243, რომლითაც შეიცვალა აღნიშნული ბრძანების ამოქმედების თარიღი და განისაზღვრა, რომ ნაცვლად 2026 წლის 1 ივლისისა, წესი ძალაში შევა 2027 წლის 1 იანვრიდან.

შეგახსენებთ, რომ №237 ბრძანების საფუძველზე, №996 ბრძანებას დაემატა ახალი 39^ე მუხლი, რომლითაც განისაზღვრა, რომ სსკ-ის 82-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შეღავათით მოსარგებლე პირებს (გარდა მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სამ- ან მეტშვილიანი პირისა და მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირის) მომავალში უკვე შეუძლიათ ისარგებლონ დაკავებული საშემოსავლო გადასახადის თანხის დაბრუნების წესით.

თანხის დაბრუნების მიზნით, პირი ვალდებულია საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს განცხადება „საგადასახადო შეღავათით მოსარგებლე პირებისთვის გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის თანხის დაბრუნების წესით სარგებლობის თაობაზე“, რომელშიც აუცილებლად უნდა მიუთითოს საბანკო ანგარიშსწორების ანგარიში, რომელზეც უნდა განხორციელდეს აღნიშნული თანხის დაბრუნება.

თანხა დაბრუნებას ექვემდებარება ყოველი თვის 20 რიცხვში პირის მიერ საგადასახადო ორგანოში წარდგენილ საბანკო ანგარიშსწორების ანგარიშზე, განცხადების წარდგენის თვის მომდევნო საანგარიშო პერიოდიდან, გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე არსებული სალდირებული ზედმეტობის ფარგლებში.

ასევე შეგახსენებთ, რომ მოცემული წესით სარგებლობის მთელ პერიოდში შეღავათით მოსარგებლე პირი ვერ ისარგებლებს გადახდის წყაროდან მიღებულ შემოსავლებზე შეღავათის გამოყენების მიზნით მასზე გაცემული ცნობით.

ცვლილება ძალაშია 2026 წლის 29 ივლისიდან

ნებართვის ახალი სახეები სათამაშო ბიზნესის სფეროში

2026 წლის 3 ივლისს გამოქვეყნდა ცვლილებები, რომელიც შეეხო სათამაშო ბიზნესის მარეგულირებელ კანონმდებლობას. ცვლილების თანახმად, შემოღებულ იქნა ნებართვის ახალი სახეები და თითოეულისთვის განისაზღვრა სანებართვო მოსაკრებელი. კერძოდ:

- სისტემურ-ელექტრონული ფორმით აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობების საერთაშორისო ორგანიზების ნებართვა
- სისტემურ-ელექტრონული ფორმით სამორინის თამაშობების საერთაშორისო ორგანიზების ნებართვა
- სისტემურ-ელექტრონული ფორმით სათამაშო აპარატების თამაშობების საერთაშორისო ორგანიზების ნებართვა.

ავტორის სვეტი

პუბლიკაციაში მოცემულია ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებული მნიშვნელოვანი საკანონმდებლო და საგადასახადო სიახლეები და ცვლილებები, რომელზეც ყურადღება უნდა გაამახვილოს ბიზნესმა.

გამოცემა მიმოიხილავს საგადასახადო და სხვა საკანონმდებლო ცვლილებებს, მათ პრაქტიკულ ასპექტებსა და ბიზნესისთვის მნიშვნელოვან საკითხებს.

მარიამ ხუსკივაძე
MKhuskivadze@bdo.ge

მიხეილ ენუქიძე
ME nukidze@bdo.ge
► ვრცლად www.bdo.ge

პუბლიკაცია მომზადებულია კონკრეტულ თემაზე, მაგრამ ზოგადი დებულებების გამოყენებით, ამიტომ განკუთვნილია მხოლოდ ზოგადი სახელმძღვანელოს სახით გამოყენებისთვის. დაუშვებელია კონკრეტული სიტუაციების მოგვარებისათვის ამ პუბლიკაციის გამოყენება, ან მასში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობა პროფესიული კონსულტაციის გარეშე. გთხოვთ, მიმართოთ ბიდიოს პუბლიკაციაში მოცემული საკითხების კონკრეტული სიტუაციებისთვის განსახილველად. შპს ბიდიო საქართველო, მისი პარტნიორები და თანამშრომლები არ იღებენ პასუხისმგებლობას ამ პუბლიკაციაზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილებების შედეგებზე.

თითოეული სახის ნებართვისთვის (რომელიც გაიცემა 5 წლის ვადით), დაწესდა სანებართვო მოსაკრებელი წელიწადში 100,000 ლარის ოდენობით.

საქართველოს კანონით “ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ” დამატებით განიმარტა თამაშობების საერთაშორისო ორგანიზების არსი. ცვლილების თანახმად, ამ თამაშობებს მიეკუთვნება ინტერნეტის, ტელეფონის ან/და სპეციალურად მოწყობილი ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შესაბამისი თამაშობების გამართვა, სადაც მონაწილეობა არ არის დასაშვები საქართველოს მოქალაქეებისთვის.

ცვლილება ძალაშია 2026 წლის 4 ივლისიდან